"გასათვალისწინებელია ისიც, რომ დაზიანებული ნივთიერების უმეტესი ნაწილი უკრაინის სანაპირო რაიონებში

ფსკერზე დაილევა, დარჩენილი ნაწი- ლის კონცენტრაცია კი შემცირდება ზღვაში მიმდინარე თვითგაწმენდის ქი- მიური და ბიოლოგიური პროცესების და ზღვის წყალთან ინტენსიური შერევის შედეგად. ამდენად, კახოვკის წყლებმა რამდენიმე თვეშიც რომ მოადრინოს სა- ქართველომდე, მათი შეზღუდვა, პრაქტიკულად, უსაფრთხო იქნება და სანაპიროდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით იმოძრავეს. ზღვის დღევანდ- ღროსაც ნაკლებად სავარაუდოა და- ბინძურებულ ნივთიერებები შემო- იტანოს ტალღებმა, რადგან ზღვის ინტენსიობა მაქსიმუმს გვიან შემოდ- გომასა და ზამთარში აღწევს და არა საუროლოტო სეზონზე", - აღნიშნა გია გაჩეჩილაძემ.

მკოლოში მანანა დევიძე აცხადებს, რომ შავ ზღვაზე, დასვენების კუთხით, ამ ეტაპზე, პრობლემა არ არის, მაგრამ დროთა გან- მავლობაში რა მოხდება, ეს არაპროგნო- ბირებადია და ზღვის დინებებზეა დამოკი- დებული.

ეკოლოგის თქმით, საქართველოს ეროვ- ნულმა სააგენტომ ჩატარ- არა შემოწმება და, რო- გორც ამბობენ, შავი ზღვის წყლის დაზიანებუ- მის ხარისხი ნორმის ფარგლებშია. თუმცა, სა- ნამ კახოვკის ელექტრო- სადგური აფეთქდებოდა, მანამდე შავ ზღვაზე არსებობდა პრობლემა, ურევი-გრეგოლიუსის მონაკვეთზე ე.წ. წყლის აყვავილება ხდებოდა, ორი წლის წინ წყალი იყო ამწვანებული წყალმცენარეების მასობ- რივი გამრავლების გამო, იქ მერე ლპო- ბის პროცესი წავიდა, საშინელი სუნე იგრძნო- ბოდა, ტოქსინები გამოყოფოდა და საოც- რად მძიმე მდგომარეობა იყო. ამ ეტაპზე წყლის ამწვანება არ ჩანს და, გარემოს სა- აგენტოს თანახმად, დაზიანების ყველა ქიმიური პარამეტრი ნორმის ფარგლებშია.

"კახოვიდან მოადრინა თუ არა და- ბინძურებამ, ამას მარტო საქართველოს კი არა, შავი ზღვის რეგიონის ქვეყ- ნების ერთობლივი, უფრო სერიოზული



მია შარაშილაძე



მანანა დევიძე

## სამეგრელოში კლიმამ ნვიამ და ქარმა სერიოზული პრობლემები შექმნა

დაიძვრა საცხოვრებელი სახლების პირველი სარ- თულები და სავარგულები. სტიქიამ გამოიწვია დვარცოფული და მეწყრული პროცესები, რის გამოც დაზიანდა გზების ნაწილი. უამინდობის გამო, რამდენიმე სოფელს არ მიეწოდება ელექტროენერგია. სამიქო-მაიანის, სუჯუნის, ზანათის, წყემის, ონტოფის, ნორის ადმინისტრაციულ ერთეულებში დაიბნოთა საცხოვრებელი სახლების პირველი სართულები, სახნავ- სათესი სავარგულები. ძლიერმა ქარმა სახურავი გადახა- და საცხოვრებელი სახლებს. სოფელ სამოკუჩოში რამდე- ნიმე ოჯახის უსაფრთხო ადგილას გადაყვანა გახდა საჭი- რი. ასევე დატბორილია ქალაქის ტერიტორიაზე ცალკეული უბნები. დაზიანებულია ელექტროგადამცემი ხაზები, ელექ- ტროენერგია არ მიეწოდება გეზათს, სეფეთს, ონტოფოს, სამოკუჩოას. აღიდა და ნაპირებიდან გადმოვიდა მდინა- რეები: კოვბა, ცხენისწყალი, აბაშა. აღიდებულმა მდინარე- ებმა დატბორა მიმდებარე ტერიტორია. ამასთან, მეწყერი

ჩამოწვა მარტვილის ტაძრამდე მისასვლელ გზაზე და ნახუ- ნაოს ადმინისტრაციულ ერთეულში. გზები დაზიანდა ვედილაში, მუხურჩაში, ონოლიაში, სერგიეთში. ადმინისტრაციული ერთე- ულების ნაწილს არ მიეწოდება ელექტროენერგია. ჩხოროწყის მუნიციპალიტეტში, სოფელ ლესიჭინესა და ზანას სამდგარზე, მეწყერმა ჩამოშალა ჩხოროწყის-სენაკის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მონაკვეთი, რის გამოც აღნიშნულ გზაზე ავტომობილების მოძრაობა აიკრძალა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა შემოვლითი გზის აღდგენა- ზე. უხვი ნალექის შედეგად დაიბნოთა საცხოვრებელი სახლების პირველი სართულები, სახნავ-სათესი სავარგულები, ქეჩე- ბი, დატბორილია ქალაქის ტერიტორიაზე ცალკეული უბნები. ამ დროისთვის მოსახლეობას არ მიეწოდება სასმელი წყა- ლი. ელექტროენერგია არ მიეწოდება ნაკიანის ადმინისტრა- ციულ ერთეულს. სენაკის მუნიციპალიტეტში მეწყერი ჩამოწვა უშაფათის ად- მინისტრაციულ ერთეულში. ორ ადგილას დაიმყურა გზა ზა- ნაში; გზები, ებოები დაიბნოთა თველაში, ჭალადიში, გე-

ჯეთში, ეკში, მენჯში, ნოქალაქეებში. მდინარე ცივი გადმოვი- და კალაპოტიდან, რის გამოც ცენტრალურ გზაზე შეფერ- ხდა მოძრაობა. ძლიერმა წვიმამ პრობლემები შექმნა ზუგ- დიდის მუნიციპალიტეტშიც. უხვი ნალექმა გზის საველი ნაწილი და საცხოვრებელი სახლების პირველი სართულები, ებო- ები დატბორა. ამ დროისთვის ადგილზე მუშაობს მძიმე ტექნიკა. საგანგებო რეჟიმში მუშაობენ და ადგილზე მობილიზირე- ლია ასევე ყველა შესაბამისი სამსახური. გაწმენდილი სამუ- შაობის აქტიურად ჩართულია "ვეთილმონიტორინგის მართვის ცენტრი" და "ზუგდიდისუფროსების ცენტრი". ამონეტების ნაწილს ელექტროენერგია ამ დრომდე არ მიეწოდება. ძლიერი წვიმის შედეგად ქალაქ ხობსა და სოფლებში დაიბნოთა საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, გზები და სა- ვარგულები. დაიბნოთა საცხოვრებელი კორპუსის პირვე- ლი სართულები. ჩამოვრცობა გზები, დაზიანებულია ხილ- ბოგირები, მდინარე რამდენიმე ადგილას გაარღვია დამ- ბა... სტიქიის ზონაში იმყოფებიან მერისი ხელმძღვანელი პირები და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები.



# ქრისტიანული პოეზიის XIII ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“

ივლისის დასაწყისში, მწარლის სახლში ჩატარდა ქრისტიანული პოეზიის XIII ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“.

ღონისძიება გახსნა ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ქალბატონმა ლია დაუშვილმა.

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტმა ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის ფესტივალის მთავარი პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვარი“ დააჯილდოვა პოეტი **მეზარ კვიციანი**.

ფესტივალის ქიურამ **მაალ ბოტკოველი** (თავმჯდომარე), **ვანო ჩხიკვაძე**, **მაია მიქაია**, **აპაქი რაუშვილი**, ფესტივალის მთავარი პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვარი“ დააჯილდოვა:

**ლელა ბაბური**, **ელეონორა უგულავა**, **ელენა ჩიქიაშვილი**, **ნათია ლაშინიანი**.

ფესტივალის პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვარის მედალიონი“ დააჯილდოვა: **ფიქრია ყუბიტაშვილი**, **მაია მინდელი**, **მარიამ ბოჯიაშვილი**, **მირანდა გაბაჩიაძე**, **როლანდ ბიორგაძე**.

ფესტივალის პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვარის მედალი“ დააჯილდოვა: **მარგა ჩანახალიანი**, **მაია ბელაშვილი**, **თამარ ბაბოძე**, **ირმა ალფინია**, **ლალი მამიძე**, **მაია კახიძე**, **მაია ლიპონიძე**.

ქრისტიანული პოეზიის ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“ იმართება თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით. გულწრფელი მადლობა **ქსნა ქალაქის**.



მეზარ კვიციანი და მაალ ბოტკოველი

## ლელა ბაბური, მთავარი პრიზის მფლობელი

ციკლიდან: „ლექსად ნათქვამი ლოცვები“...

დამზრალ კალაპოტს დაემსგავსა ადამის სული, ადარ მიელტვის იორდანეს - ცოდვების დაფლეთ, ვედარ მიმოქრის მათა ზედა ვითარცა სურინი, ვედარ აპურებს უდაბნოებს მკალით და თაფლით. ჩამომიხევი სასთუმალთან, არ მომატყუო, აღთქმული გეცა მოაგებე გამოწყვდილ მაჯებს, ერთი პატარა ლოცვა ვიცი, იმას მოგიძღვნი, სხვა ყველაფერი უკვე გაგხარავ.

გევრჯერ ვიგლოვე, დავიყარე თავზე ნაცარი, ჩამომეძინა ლამაზით ხელში გელოდი ვიდრე, გულწრფელი ლოცვაც გევრჯერ ვცადე,

როგორც მასწავლე, მაგრამ ერთი მთაც ვერ დავძარი, ისევ იქ იდგნენ...

გევრჯერ სანთელი ჩავაქრე და ქათო გავცენი, გევრჯერ, ფართო გზა ვამჯობინე გზას - ძნელს და იწროს, მოლაღატე ვარ, ჩემო ღმერთო, მაგრამ იმ ცნებებით, უდაბნოზე რომ დავეცემა შენ უნდა მიცნო!

## მარიამ ბოჯიაშვილი, ფესტივალის პრიზიორი, 13 წლის, თიანეთი

**დეკლარაცია**  
დემეტრევე!!! - ხევს მოჰმდავის ატეხილი მთებში ქარი, დემეტრევე!!! - მასთან ვიხმობს „ოქროს ურდოს“ მკაცრი ხანი, მეგობრობის, თუ ღალატის გაუღვივდა ნაკვერჩხალი?! - საქართველო ახორცილება! - რეკდა ბარი, განამწარი. ფუძე-კარი დაობლდება!


- მოგტიროდა დედოფალი. - ჩადი მთებში, ხიზნად ჩადი, შეაფარე სადმე თავი, ოღონდ, ურდოს არ ჩახვიდე, სისხლისფერი არის გზაი!.. შენ იურჩე, არ ისმინე შეგონება

ერის, გერის, მტყიცედა სთქვი: - „თუ ღმერთს უნდა, მოხდეს იგი, რაც მიმელის!“ დემეტრევე!!! - ხევში ბღავის და თემს იგლოვს მართის ქარი, დემეტრევე!!! - ღალატია, არ დაგინდობს ურდოს ხანი! ოცდაცხნაჯერ ჩაქრა თურმე ვარსკვლავეთი იმ დღეს ცაზე, ოცდაცხნაჯერ ხმალი დაჰკრეს საქართველოს გულ-ფეხარზე. იმ დღეს როგორ ამოშანთეს საქართველოს თურმე ხორცი... და მზე როგორ ჩაიღვენთა და ჩამოდნა თურმე ცოდვით! იმ დღეს მტკვარმა სისხლიანი ღალატი და რისხვა ზიდა... იმ დღეს დედადღვისმშობელი უფლის ტახტთან ლოცვად იდგა! დემეტრევე!!! - კვლავაც ხევ-ხევ გეძებს ქარი, ძაძებს იცვამს, სისხლისფერი გახდა მტკვარი, სისხლისფერი არის მიწაც!.. თავდადება შენნაირად არ მსმენია არსად, ვფიცავ! დემეტრევე!!! - ქარი შლეგობს, ქარი ვერ გთმობს, ხევ-ხევ გეძებს, ისტორია თავდადების იწერება დღემდე!!!

## ნათია ლაშინიანი, ფესტივალის მთავარი პრიზიორი.

## მეზარ კვიციანი ანგელოზი

სიზმარმა რომ შეაშინა, ასე უთხრა დედამ ნიას: - მფარველად გყავს ანგელოზი და ნუნაფრის გემინია. როცა მშობლებს დაუჯერებ, ანგელოზიც ხარობს მაშინ, მაგრამ არის მოწყვნილი თუ იქცევა ცუდად მაგში. იმ დღის შემდეგ მოსვენება დაეკარგა ციციქა ნიას: - ჩემს ანგელოზს რა აცვია, ან რა ფერის თვალები აქვს? დე, ფაფუკი ფრთებიც ხომ აქვს? მის ბუმბულში ჩაგრავა სხახს, ნეტავ მართლა ისეთია ფრესკებზე რომ გამოსახეს?.. დედამ გულში ჩაიკრა და ჩასჩურჩულა: - ჩემო ნია, შენ როგორსაც წარმოიდგენ ანგელოზიც ისეთია.



## დღესასწაული

## პეტრეპავლობა

12 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია **პეტრეპავლობას** დღესასწაულობს. ...მოციქულთა თავი პეტრე იესო ქრისტეს სამგზის უარყოფის შემდეგ ღვთის მხურვალე მქადაგებელი ცხოვართა და პირველმეტყველ ცხოვართა ერთგული მწყემსი შეიქმნა. ...სულთმოფენობის დღესასწაულზე მისმა მადლმოსილმა სიტყვებმა სამი ათასი კაცი მოაქცია ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე. პეტრემ მოიარა რომი, ანტიოქია, მცირე აზია, ეგვიპტე, საბერძნეთი, ესპანეთი, ბრიტანეთი. ის ყველგან ქრისტეს სწავლების მარცვლებს თესდა, აფუძნებდა ეკლესიებს. პეტრეს ქადაგებებს მრავალი სასწაული ახლდა თან: სნეულები პეტრეს ჩრდილის დაცემითაც კი იკურნებოდნენ. წმინდა მოციქულთა თავი პეტრე მოწამებრივად აღესრულა რომის სისხლიანი იმპერატორის ნერონის ბრძანებით. ნიშანდობლივია ისიც, რომ ჯვარზე თავდადება მიმსჯელებს მრავალი სასწაული ახლდა თან: სნეულები პეტრეს ჩრდილის დაცემითაც კი იკურნებოდნენ. მოციქულთა თავი პეტრე მოაქცია ქრისტიანად თავისი ქადაგებებით და სასწაულებით. რომელითა იმპერატორმა პავლე მოციქული დააპატიმრა და სხვა პატიმრებთან ერთად იტალიაში გააგზავნა. იქ პავლე მოციქულს კეისრის წინაშე უნდა ემართებინა თავი. ომალაღმა დიდი წვალებით კუნძულ კრეტას მიადრია. პავლემ იწინაწარმეტყველა, რომ ცურვის გაგრძელება მათი სიცოცხლისთვის სახიფათო იქნებოდა. ზოგმა სამშვიდობის ცურვით გააღწია, პავლეს კი თავი მოჰკვეთეს. უფლის სათნოებოყოფელი პეტრე და პავლე თავიანთი ღვაწლით იმდენად გამოირჩეოდნენ ქრისტეს სხვა მოწაფეთაგან, რომ ეკლესიამ მათი სხელები ერთ დღეს დააწესა.

გიული ლიპარტია

## დიპლომატი პირადად მინისტრისგან

განათლების და მეცნიერების მინისტრმა გიორგი ამილახვარმა ინტერვიუებული პროფესიული პროგრამების პირველი კურსდამთავრებულები დააჯილდოვა. მინისტრმა „მერმისის“, „იკაროსის“, „გლდანის პროფესიული კოლეჯის“, „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიისა“ და „მოდუსის“ კურსდამთავრებულ ახალგაზრდებს სწავლის დასრულება მიულოცა, წარმატებები უსურვა და მათ დიპლომები პირადად გადასცა. პროფესიული განათლების სისტემას 2023 წელს პირველად ჰყავს ინტერვიუებული პროგრამების კურსდამთავრებულები, რომლებმაც სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებული პროფესიული დიპლომები მიიღეს და, პროფესიის დაუფლებას-

თან ერთად, უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლის გაგრძელებას შეძლებენ. ინტერვიუებული პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დაჯილდოების ცერემონიაში მონაწილეობა ასევე მიიღეს პროფესიული უნარების სააგენტოს, განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრისა და გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლებმა. მოსწავლეებს საშუალება აქვთ, მიიღონ სწავლისთვის სახელმწიფო დაფინანსება, ხოლო სწავლის დასრულების შემდეგ აიღონ პროფესიული დიპლომი, რომელიც გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლების დამატებით დოკუმენტთან ე.წ. ატესტატთან, რაც განათლების შემდგომ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობას იძლევა.



# ბრაზილია ისევ გახლეჩილია!

ბრაზილიის ყოფილი პრეზიდენტი, უაირ მოლსონარუს, ჩვენი „საერთაშორისო პანორამის“ ერთერთი ყველაზე პოპულარული გმირია. მეგობარ გვაქვს ნათქვამი მის შესახებ. მისი სახელი ჩვენი წერილებში დღესაც მოხვდა. ბრაზილიის ფედერალურმა სასამართლომ მას 2030 წლამდე არჩევნებში მონაწილეობა აუკრძალა. სასამართლო ყოფილ პრეზიდენტს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში სდებდა ბრალს. გამოძიებამ, ასევე, დაადგინა, რომ, არჩევნებამდე, იგი ზეწოლას ახორციელებდა პოლიტიკოსებსა და მას-მედიანზე. მოლსონარუს სასამართლოს ეს მკაცრი ვერდიქტი მწვავედ გააკრიტიკა და განაცხადა, რომ გადაწყვეტილებას გაასაჩივრებდა.

ასეთი ბრალდებები მის მიმართ პირველი არ არის. სხვა საქმეებიც სდებენ ბრალს, რომელიც ჯერ სასამართლომდებარე არ მისულა. შეგახსენებთ, რომ გასულ წელს ბრაზილიაში საპრეზიდენტო არჩევნებში ჩატარდა. სახელწიფოს მაშინდელმა მეთაურმა, უაირ მოლსონარუს, ის არჩევნები ბრაზილიის დღე-

ვანდელ პრეზიდენტ ლულასთან წაავტო. მიმდინარე წლის დასაწყისში, ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ, მოლსონარუს მომხრეებმა საპროტესტო ტალღა ააგორეს. ისინი საარჩევნო კომისიას არჩევნების გაყალბებაში სდებდნენ ბრალს. შედეგა მრავალათასიანი მსვლელობა ბრაზილიის დედაქალაქისკენ. პროტესტი არეულობაში გადაიზარდა. მოლსონარუს მომხრეებმა პარლამენტი და სხვა სამთავრობო შენობები დაარბიეს. მომიტინგეთა დასამშვიდებლად, პრეზიდენტმა ლულამ ჯერ პოლიცია, შემდეგ კი, სამხედრო ძალები ჩართო. ასობით ადამიანი დააკლდა. თავად მოლსონარუს, იმ დროს, ამერიკაში კი იმყოფებოდა, მაგრამ ბრაზილიის ახლანდელი მთავრობა დღემდე ეჭვობს, რომ ამერიკიდან მართლაც არეულობას.

სინამდვილეში, პოლიტიკური დაპირისპირების მიზეზი სულ სხვა რამ არის: ბრაზილიის საზოგადოება ორ ბანაკადა გაყოფილი. ერთი ნაწილი, ლულას მეთაურობით, მემარცხენეებს უჭერს მხარს, მეორე კი, ულტრა-მემარჯვენეებს, მოლსონარუს ლიდრობით. ბრაზილიური საზოგადოების გახლეჩილობა მთლად ამ ორი ლიდერის დაპირისპირებაზე არ არის დამოკიდებული. გახლეჩილია თავად საზოგადოება. მხარეები სხვადასხვა თვალთ შებენენ ქვეყნის განვითარების პერსპექტივას. მემარჯვენე კონსერვატორთა ბანაკს განეკუთვნება მთელი



დეროვით. ბრაზილიური საზოგადოების გახლეჩილობა მთლად ამ ორი ლიდერის დაპირისპირებაზე არ არის დამოკიდებული. გახლეჩილია თავად საზოგადოება. მხარეები სხვადასხვა თვალთ შებენენ ქვეყნის განვითარების პერსპექტივას. მემარჯვენე კონსერვატორთა ბანაკს განეკუთვნება მთელი

მიზნის-ელიტა და თეთროკიანი მოსახლეობა. მემარცხენეთა ბანაკს კი, ლიბერალურმა, ლანო-ლანო-ლანო და ფერადკანიანებმა. პოლარიზაციამ ქვეყნის ყველა კუთხე და სფერო მოიცვა. ვითარების ობიექტური არბიტრი და დაპირისპირებულ მხარეთა ჯგუფადმჭდარი შემრიგებელი კი, არსად ჩანს.

27 0360სს შემდეგ საფრანგეთს არ ძინავს. ქვეყანას საპროტესტო ტალღამ გადაუარა. არეულობა 17 წლის, არაბული წარმოშობის ფრანგი თინეიჯერის, ნაჰელ მერზუკის მკვლელობის მოწყობა, რომელიც პოლიციის ტყვიას ემსხვერმლა. მკვლელობას, ამერიკელი ფრანკონიანის, ჯორჯ ფლოიდის, ორი წლის წინანდელ მკვლელობას აღარგეგნ. ორივე შემთხვევაში, პოლიციის ძალის გადახმეგება ედგება ბრალად. პარიზის მახლობლად მდებარე ქალაქ ნანტერში, იმ დღეს, პოლიციამ მანქანა გააჩრია, რომელშიც სამი არაბი მიჭი იჯდა. საჯის ნაჰელ მერზუკი მართავდა.

პოლიციელთა თქმით, მან გაქცევა სცადა, რის გამოც, პოლიციამ ცეცხლი გაუხსნა. ნაჰელი დაიღუპა. მოგვიანებით, სოციალურ ქსელში ვიდეო აიტვირთა, რომელშიც მკვლელობის მომენტი აღმგვლილი. ხალხმა ჩათვალა, რომ წესრიგის დამკველმა იძალადეს. ქალაქ ნანტერში საპროტესტო ტალღა აგორდა, რომელიც მალე დიდ არეულობაში გადაიზარდა. პოლიციამ სასწრაფო პრესკონფერენცია გამართა ახსნა-განმარტების გასაკეთებლად. ითქვა, რომ, ნაჰელ მერზუკს აღრეცქ ქონია საქმე პოლიციისათან. 15-ჯერ იყო დაჭერილი, აქედან, 5-ჯერ პოლიციის არ დაემორჩილა. ხალხმა პოლიციის ახსნა-განმარტებამ არ მიიღო და ქუჩაში გამოვიდა. პასუხად, მთავრობამ 45 ათასმდე პოლიციელი გამოიყვანა. შეტაკება პოლიციასა და აქციის მონაწილეთა შორის დღეების განმავლობაში გაგრძელდა.

# საუკანებოთს განსხვავებული არაავენ!



რის დღეების განმავლობაში გაგრძელდა.

ახალი ამგები ფრონტის ქრონიკას დაემსგავსა. ძალადობის შედეგად, ასობით პოლიციელი და მეხანძრე დაშავდა, 600-მდე მანქანა და 100-მდე შენობა დაიწვა, გზებზე 900-მდე ხანძრის ლიკვიდირება გახდა საჭირო. პოლიციამ სამი ათასზე მეტი ადამიანი დააკავა. პარიზის ერთ-ერთი სატელეტი ქალაქის მერსა და მის ოჯახზე თავდასხმის მცდელობა განხორციელდა. საფრანგეთის პრეზიდენტ მაკრონს ვერმანიაში ვიზიტის გადადება მოუწია. მან აღელვებული მოსახლეობის დამშვიდება სცადა. მდგომარეობა, ითქვას, განიმუხტა, თუმცა, მგერი ფიქრობს, რომ ეს მხოლოდ დროგ-

მოხერულია, რომ ვეროპის ეს სახელმწიფოები იმიგრაციის არასწორ პოლიტიკას ეწვეიან. არ ხდება მიგრანტთა მეთოდური ინტეგრირება საზოგადოებაში. მიგრანტები უდატაკეს უბნებში, ანუ გეტოებში ცხოვრობენ. მაშინაც და ახლაც, არეულობა სწორედ ასეთ უბნებში მოხდა. საფრანგეთში, პრაქტიკულად, პარალელური საზოგადოება წარმოიშვა: ერთი, მთავარი და მეორე, ლატაკი, ანუ მიგრანტი მუშახელის მასა.

ისინი საქციელით ვანდალებს ჰგვანან. შემთხვევა თუ მიყუბო, არმევენ, წვავენ და ანადგურებენ ყველაფერს, რაც ხელში ხვდება. არად დაგიღვევენ ადგილობრივ წესებსა და ჩვეულებებს. მოდიან და თან მოაქვთ თავიანთი კულტურა და რელიგია, მათ

ახალ საცხოვრებელ ადგილზე დასამკვიდრებლად, შეგნებულად სარგებლობენ რა დასაყლიუნი ლიბერალიზმითა და დემოკრატიით. სხვა საკითხია, თუ როგორ რეაგირებს ამანზე ხელისუფლება. მთავრობა მათ მხოლოდ პოლიციის მეშვეობით ელდაპარაკება. პოლიცია კი, გადაღლილია და ყოველთვის ვერ უმკლავდება ამხელა ზეწოლას. სწორედ ამიტომ გახშირდა ინციდენტები. დასავლეთის პრესაში ასეთ კომენტარსაც წააწყლებით: იმას, რასაც საფრანგეთის მიწაზე ახლა ვხედავთ, აკანყება მიზნის განგეში, მიგნანგების კვილია, სახელწიფო მართვის ანარქისტული უარყოფა, განსტყურული ომი და შევიზნია რმევაში.

ავისომომასწავებელი შეფასება! 2005 წლის არეულობის დროს, შინაგან საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა, სარკომიმ, პოლიციელებს მხარი დაუჭირა. მაკრონმა კი, ამის გაკეთება ვერ გაგედა. ამიტომ, მემარჯვენე პოლიტიკოსებისა და პოლიციისგან მის მიმართ მძაფრი კრიტიკა ისმის. მეორე მხრივ, ვანდალებსაც აკრიტიკებენ. ფრანგი კონსერვატორები ფიქრობენ, რომ გეგერი ახალგაზრდა საბავს ექმეს, მოიპაროს, გაძარცვოს, დაარბოს და დაანგროოს ქვეყანა. მათი აზრით, საზოგადოების ეს ნაწილი თავს არ იწუხებს, რომ ცხოვრება შრომითა და კანონის ერთგულებით გაიუჭომესოს. რა ვიცი, იქნებ, მართლაც უჭირს დასავლეთის ახალი სისხლის ასეთი რაონდობით მიღება და, ამგვ დროს, მისთვის ჩვეული, ტრადიციული სტანდარტების შენარჩუნება!



ამერიკის უზენაესმა სასამართლომ ქვეყნისთვის ებოქალური გადაწყვეტილება მიიღო: მათილად სწორ გერეთობებული Affirmative Action ამერიკის უმაღლეს სასწავლებლებში მიღებისას. რა არის Affirmative Action, და ამ თემაზე, ათწლეულების მანძილზე, რატომ მსჯელობდა ამერიკული საზოგადოება. Affirmative Action კვლირება, იგივე, ნორმირება, ანუ საზოგადოების დისკრიმინირებულ ნაწილისთვის პრივილეგიების მინიჭება. მაგალითად, სამსახურში თეთროკიანის თუ მიიღებ, იქვე, ფერადკანიანეც უნდა მიიღო, რომც არ გაძლევდეს ხელს მისთან თანამშრომლობა მიზეზთა გამო. და ეს უნდა გააკეთო რასობრივი წინასწორობისა და სამართლიანობ-

# ფერადკანიანები პრივილეგიებს უკარისობენ!

ის მიზნით. ამას ჰქვია Affirmative Action. გეგვათ, დადებითი აქცია დავარქვათ, გეგვათ, სამსახურობრივი მხარდაჭერა. ზოგი პოზიტიურ დისკრიმინაციას უწოდებს.

Affirmative Action, პირველად, 1961 წელს გამოიყენა კენედის ადმინისტრაციამ. შეგახსენებთ, ჯონ-კენედი დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენდა. მაშინ, როცა ამერიკაში ზენიტი იყო რასობრივი სეგრეგაციის მიერ შექმნილი საზოგადოებრივი საფრთხე, კენედის მთავრობა ყველაფერს აკეთებდა სეგრეგაციით გამოწვეული პრობლემების დასაძლევად. ამიტომ დამკვიდრდა ა Affirmative Action-ისა და განათლების სფეროში, ანუ ხდებოდა კვოტირება შვეკანიანთა სასარგებლოდ.

Affirmative Action ქალთა სასარგებლოდ კინობლოგეგნებამაც გავრცელდა და უმაღლეს სასწავლებლებშიც. წინათ, სეგრეგაციის გამო, შვეკანიანები ღარიმ უბნებში ცხოვრობდნენ და იაფფასიან სასწავლებლებში სწავლობდნენ. მეოცე საუკუნის 60-70 წლებში, ამერიკულ შვეკანიანთა 60-ი პროცენტი უმაღლეს-დაუმთავრებელი იყო. შვეკანიან უმაღლეს-დამთავრებულთა რიცხვის გაზრდის მიზნით, ამერიკის ელიტურ სასწავლებლებში შვეკანიანებისთვის გაჩნდა კვოტიები, რომლის წყალობით, მართლაც გაიზარდა უმაღლეს-დამთავრებულ შვეკანიანთა რიცხვი. ახლა უკვე, შვეკანიანი მოსახლეობის საგულისხმო ნაწილი ამერიკის საშუალო ფენას განეკუთვნება. ამიტომ საზოგადოებაში დაიწყო მსჯელობა

Affirmative Action-ის დრომომკვილობაზე. საკითხთან დაკავშირებით, ქვეყანა ორად გაიყო. საგულისხმოა, რომ შვეკანიანები ორივე მხარეს არიან. მეგრის აზრით, Affirmative Action თანასწორობის პრინციპს ეწინააღმდეგება.

არაჩი თავმომწონე შვეკანიანები, რომელთაც არ სიაშოვგებს კარიერის გაკეთება ამ პრივილეგიის გამოყენებით. მოკლედ, თანასწორობის იდეა Affirmative Action-ს დაუპირისპირდა. ისიც სათქმელია, რომ Affirmative Action სხვა უმცირესობებს ჩაგრავდა, მაგალითად, ლათინებსა და აზიელებს, რადგან, მათ არასოდეს არ ჰქონიათ ასეთი უპირატეობა. რესპუბლიკელები დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ ამ დისკრიმინაციული კანონის გაუქმებას, მაგრამ სანამ კონგრესი და უზენაესი სასამართლო დემოკრატიების ხელში იყო, ვერ ახერხებდნენ ამას. ახლა კი, უზენაეს მოსამართლეთა შორის კონსერვატორები ჭარბობენ. პრივილეგიის გაუქმებამ არაერთგვაროვანი გამოხმაურება გამოიწვია. დემოკრატიებმა, ბაიდენის ლიდრობითა და შვეკანიანთა უმრავლესობის მხარდაჭერით, დაგმო ეს გადაწყვეტილება. სამაგიეროდ, განაჩენს, რესპუბლიკელები და არაპრივილეგიური დანარჩენი უმცირესობები მიესალმნენ.



**ნუზარ ბ. რუხაიძე**  
POSTV



# საკლუბო ევროპას გვიბრუნდება

ჩემპიონთა ლიგა



## კალაუნიკოვა მეოთხედფინალშია

ქართული ჩოგბურთელი ოქსანა კალაუნიკოვა უიმბლდონის წყვილთა თანრიგის მეოთხედფინალში გავიდა.



ლარუსი ლიბია მაროზავას დუეტი მერვედფინალში 6:4, 7:6 დაამარცხეს.

შპსიპროსი ქალაქ შენევის ფიზიკური კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტული ცენტრის წარმომადგენელი ოქსანა კალაუნიკოვა უიმბლდონის წყვილთა თანრიგის მეოთხედფინალში გავიდა.

ოს-ს გადადგმული ნაბიჯით ქართული საკლუბო კალათბურთი ევროპის საკლუბო რუკაზე დაბრუნდა, სადაც ბოლოს ჩვენებურმა გუნდმა 5 წლის წინ ითამაშა.

შენევაში გამართულ წილისყრაზე ჩემპიონთა ლიგის რეგულარული ჩემპიონატის მონაწილე 29 გუნდი ჯგუფებში განთავსდა.

ჯგუფურ ეტაპზე დაარჩილნი 3 ადგილისთვის, როგორც ვთქვით, 24 გუნდი იმრძის. ამ გუნდებიდან 8 არის თავისი ქვეყნის ჩემპიონი.

დასტურებული ერთი თვის წინათ გაგაცანით საინტერესო ჩანაფიქრი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოსა და არგენტინის შორის მრავალმხრივი თანამშრომლობის დაწყებას.

ამჯერად მეტი თვალსაჩინოებისათვის გთავაზობთ სამხრეთ-ამერიკული საქმიანი წრეების წარმომადგენლის მიერ გამოგზავნილ კონკრეტულ წინადადებებს შემცველ წერილს.

გაცნობებთ, რომ არგენტინისა და საქართველოს შორის კულტურული, სპორტული, ტურისტული და საქმიანი ურთიერთობების განვითარების მიზნით „კულტურული და საქმიანი თანამშრომლობის საერთაშორისო ასოციაციის“ არგენტინის სახლი საქართველოში“ თავმჯდომარე ნიკოლოზ პატარქალიშვილი უფლებამოსილია ჩვენი კომპანიის სახელით განახორციელოს საუბრები მთავრობის, არასამთავრობო და კერძო კომპანიების ხელმძღვანელ პირებთან.

ჩვენთვის ცნობილია ნიკოლოზ პატარქალიშვილის პროექტი, რაც მიზნად ისახავს თქვენს ავტონომიურ რესპუბლიკაში ინვესტიციების მოზიდვას სოფლის მეურნეობის დარგებისა და ტურიზმის განვითარებისათვის.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით ა. წ. 17 ივნისს აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელევიზიამ ნიკოლოზ პატარქალიშვილის პრესკონფერენცია გააშუქა.

## მარალონასას გაიხსენებენ



ჩავგრთვს არგენტინიდან, ხოლო ა. წ. 22 ივნისს აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელევიზიის გადაცემის „დიდი დასვენება“ მიწვევით ნიკოლოზ პატარქალიშვილმა ბათუმისა და საქართველოს მოსახლეობას ამცნო თავისი პროექტისა და ჩვენი მხარდაჭერის შესახებ.

ნისადმი მიძღვნილი ცეკვა და სიმღერა, რაც დიდი პატივისცემა იქნება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისათვის.

რაც შეეხება თქვენს საფეხბურთო ტრადიციებსა და სპორტული ურთიერთთანამშრომლობის განვითარებას, ვისურვებდით, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის კალენდრის თანახმად, ა. წ. 5 აგვისტოს ბათუმში გვეხილა თქვენი ეროვნული ჩემპიონატის მატჩი ბათუმის „დინამოსა“ და „მუქურას“ შორის.

ჩვენ მზადყოფნას გამოვთქვამთ ა. წ. 20 ივლისსა და 12 აგვისტოს შორის 10-12 დღის განმავლობაში ვეწვიოთ ბათუმსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა ქალაქებს.

გაცნობებთ, რომ ჩვენს მოწვევას თქვენს საოცარ რესპუბლიკაში გაცვლითი ხასიათი ექნება. ამიტომ, როდესაც თქვენს დელეგაციას მოვიწვევთ არგენტინაში, ვისურვებდით, რომ იმავე დელეგაციაში ჩართოთ აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელევიზიის წარმომადგენლები, მათ შორის გადაცემის „დიდი დასვენება“ წამყვანი ნინო გორჯელაძე, რომელმაც (ამავე გადაცემაში, ა. წ. 22 ივნისს, 13 სთ. 45 წთ, საქართველოს დროით) მხარია დაუჭირა ჩვენი წარმომადგენლის ნიკოლოზ პატარქალიშვილის პროექტს და ასევე, დიდი სურვილი გამოთქვა, რომ ეწვიოს და გაეცნოს ჩვენს ქვეყანას.

გთხოვთ, დანიშნულ შეხვედრა ჩვენს წარმომადგენელსა და პროექტის ავტორთან ნიკოლოზ პატარქალიშვილთან ბათუმში და გამოგვიგზავნოთ სამუშაო პროგრამა, რათა მომზადებული ჩამოვიდეთ აჭარაში.

ნიკოლოზ პატარქალიშვილისგან ასევე ინფორმირებული ვართ, რომ აღნიშნული პროექტი მოიწონა, მისი განხორციელება თქვენი ქვეყნისთვის საჭიროდ მიიჩნია და დალოცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ, რის შესახებაც წერილი 2023 წლის, 14 ივნისს გამოაქვეყნა გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ და მისი განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ჩვენი ნაყოფიერი ურთიერთთანამშრომლობით.

ვსარგებლობ შემთხვევით, რათა მოგესალმოდეთ, პატივისცემით, **ლუსიო პირნასკონი**, „B.S.C.“ შიდასი მფლობელი.







### „ფესვების“ დაბრუნება ნიუ-იორკიდან

ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ნიუ-იორკში მოქმედი ქართული ანსამბლის, „ფესვების“ კონცერტი, სახელწოდებით „დაბრუნება“ გაიმართა. კონცერტში 120 ემიგრანტი მავშვი მონაწილეობდა.

ლონისძიებმა ქართული კულტურის ცენტრ „ფესვების“ ხელმძღვანელის, ვანო გოდენიძის ორგანიზებითა და საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა.

### რა მშვენიერია „ამერიკული მუზეუმი“



თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ახალი პროექტი სახელწოდებით – „ამერიკული მუზეუმი“ დაიწყო. ანსამბლი „დიდგონი“ მუზეუმის სტუმრებისთვის ხალხური სიმღერის გაკვეთილებს და კონცერტებს მართავს.

პროექტი „ამერიკული მუზეუმი“ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება. ივლისიდან ოქტომბრამდე მუზეუმის სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ ხალხური სიმღერის გაკვეთილებს დაესწრონ და პროფესიონალ მომღერლებთან ერთად იმღერონ.




### ევროვიზია - 24-ს მალე უმასპინძლებს

სიმღერის რიგით 68-ე კონკურსი შვედეთის ქალაქ მალმეში გაიმართება, რომელიც მესამედ მასპინძლობს ევროვიზიას.

შვედეთმა მასპინძლობის უფლება ევროვიზია 2023-ზე გამარჯვებით მოიპოვა, რომელსაც მომღერალი Ljhtty-ი სიმღერით snij წარადგენდა. ამით შვედეთი გამარჯვებულის რაოდენობით ევროვიზიის რეკორდსმენი გახდა. მალმეში მოლოცის ევროვიზიას 2013 წელს უმასპინძლა, პირველად კი – 1992 წელს. ევროვიზია 2024 „მალმე არენაზე“ 7, 9 და 13 მაისს გაიმართება.

### „ჩარი-რამა“ ამერიკულად



აშშ-ში მცხოვრები დეივიდები ერთდროულად დაოსტრადენი და დედები თითქმის ერთდროულად გახდებიან. 33 წლის ჯენა, 30 წლის ჯესიკა, 27 წლის ჯორდანია და 25 წლის ჯეიდანია ამბობენ, რომ მსგავს რამეს ვერასოდეს წარმოიდგენდნენ.

უფროს დას 2 წლის შვილი ჰყავს, დანარჩენები კი პირველ შვილს ელოდებიან. დეებმა ერთმანეთის ორსულობის შესახებ აღდგომას გაიგეს, როდესაც მთელი ოჯახი ერთად შეიკრიბა.

### ფილი დიდ იმპერატორზე

SONY-მ რილდი სკოტის ახალი ფილმის „ნაპოლეონის“ პირველი თრეილერი გამოაქვეყნა. მთავარ როლს სურათში ხოაკინ ფენიქსი ასრულებს. ფილმი საფრანგეთის იმპერატორის ისტორიასა და ტახტისკენ მიმავალ გზაზე მოგვითხრობს. სურათის მნიშვნელოვანი ასპექტი ნაპოლეონის და თავისი ცოლის, ჟოზეფინის ურთიერთობა გახდება, რომელსაც ვანესა კირბი განასახიერებს.



### ღვთაბუნების პირველი გარეული


საფრანგეთში მასტილიის დღესთან დაკავშირებით, ქვეყანაში არეულობის განახლების შიშით 15 ივლისამდე პიროტექნიკის გაყიდვა აკრძალა.

„14 ივლისის ღვთაბუნების დროს საზოგადოებრივი წესრიგის სერიოზული დარღვევის საფრთხის თავიდან ასაცილებლად, პიროტექნიკური ნივთებისა და ფიერვერკების გაყიდვა, შენახვა, ტრანსპორტირება და გამოყენება 15 ივლისის ჩათვლით აკრძალა“, – ნათქვამია მთავრობის დადგენილებაში. მედიის ცნობით, აკრძალვა არ შეეხება პროფესიონალებსა და მუნიციპალიტეტებს, მათ, ვისაც ამ დღესასწაულზე ტრადიციული ფიერვერკის ორგანიზება ავალა. საფრანგეთის მთავრობას სურს, რომ თავიდან აიცილოს არეულობა საპროტესტო დროს.



### ნორვეგიაში დაკარგული კალი იტალიაში იპოვეს

ვენეციის იპოვეს ძალი სახელად კომპისი, რომელიც ნორვეგიაში დაიკარგა. ძალის პატრონმა მარი კარლსენმა განაცხადა, რომ კომპისთან ერთად სახლის ცხრა თამაზობა, მაგრამ ძალი გზისკენ გაიქცა და აღარ დაბრუნებულა. მარიმ კომპისის ძებნა დაიწყო, თუმცა უშედეგოდ. მალევე ქალმა პოლიციას მიმართა და ძალის გაუჩინარების შესახებ სოციალურ ქსელებშიც დაწერა.



19 დღის შემდეგ კი მარის იტალიელმა ვეტერინარმა დაურეკა და შეატყობინა, რომ მისი ძალი ვენეციაშია. ძალი ექიმთან იტალიელმა წყვილმა მიიყვანა, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ის ადგილობრივებმა დაკარგეს. ჩიპზე ინფორმაციის შემოწმების შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ კომპისი ნორვეგიაში ცხოვრობს. ზარის შემდეგ მარი ვენეციაში გაემგზავრა და კომპისი სახლში დააბრუნა. უცნობია როგორ აღმოჩნდა ძალი იტალიაში.

### მილიონებზე ღირსი მალე მოვათაშენებთ 7 კატას დაუტოვებ

ფლორიდაში ნენსი საურმა 2,5 მილიონი დოლარის ღირებულების სახლი და ქონება თავის 7 კატას დაუტოვებ. ქალი შარშან განადიცებდა. როგორც მან ანდერძით დაიბრუნა, მისი სპარსული ჯიშის კატები: კლეოპატრა, გოლდფინჯერი, ლეო, მიდნაიტი, ნაპოლეონი, სნოუბლი და სტეფი სახლში ერთად უნდა დარჩნენ, რადგან განშორება მათ დაამწყხრებს.

ანდერძის თანახმად, სახლის გაყიდვა არ შეიძლება მანამდე, სანამ 1 კატა მინც ცოცხალი იქნება. გარდა ამისა, ქალმა კატებს ქონებაც დაუტოვებ, რათა მათი კვების და მოვლის ხარჯები დაიფაროს. თუმცა, ნი თვის შემდეგ, ქონების საკითხებში მოსამართლემ დაადგინა, რომ კატები ისეთ ადგილას უნდა გადაიყვანონ, სადაც მათ უკეთესად მოუვლიან.



### საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ქვეყნის ბაზირი №170

მთავარი რედაქტორი  
საბრტაძე ძოგულია  
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის  
მოადგილე  
მამუკა შაშაძე  
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი  
ახანა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:  
გურამ გომიანიძე

599 53-76-16;  
ალექს  
ასლანიძე  
599 56-81-86;

### გამომცემელი:

შპს 100 – ახალი  
„საქართველოს რესპუბლიკა“  
გაზეთ „საქართველოს  
რესპუბლიკის“ გამომცემელი“  
599 36-00-35

შპს „თანადგომა“-1-გაზეთ  
„საქართველოს რესპუბლიკის“  
გამომცემელი“  
ტ: 599 79-76-79

იკავებება სტამბა  
„ქოლორი“  
კ. ბაღდაშვილი №3

### კოდორი ჯაჭვი

uac(უაკ)070.4(479.22)  
ს-323



2 009882 616932

ავტორთა  
საპუბლიკაციო

რედაქციის მიერ  
შეუქმეთაში მასალა  
დაიკავებება  
ავტორთა ხარჯით.  
ავტორთა მოსაზრებები,  
შესაძლოა, გულდა  
არ ემთხვეოდეს  
რედაქციის პოზიციას.  
ფაქტების  
სიზუსტეზე პასუხს  
აბეზინ ავტორები.

### გაზეთის მომსახურების ცენტრი გაეხსნა პარასკევს, 14 ივლისს

საქართველოს რესპუბლიკის მთავარი რედაქტორის კარის:

საუბრობის - 2.5870; მარჯ - 2.8478;  
გარეგანი პირებთან სტარტინგი - 3.3450;  
100 რუბლი - 2.8354; მარჯული ღირსი - 0.0992;  
საქართველოს რესპუბლიკის მთავარი რედაქტორის - 1.5232;  
1000 სომხური ღირსი - 6.6953

აპრილი 12 ივლისისთვის

საქართველოს რესპუბლიკის მთავარი რედაქტორის	საუბრობის	+11, 599	+31
გარეგანი პირებთან	საუბრობის	+5, 599	+27
დასაბუთო სამსახურის	საუბრობის	+12, 599	+29
გარეგანი პირებთან	საუბრობის	+9, 599	+27
თავისთვის	საუბრობის	+16, 599	+29

დაგვიკავშირეთ, მოგვწერეთ:

ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35

ელ. ფოსტა: sakresp@top.ge  
და sakresp@mail.ru

ვებ-გვერდი: www.sakresp.ge